



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1455  
06/08/2018

ქალაქი ბათუმი

1455-05-4-201808061138



### **„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 აპრილის №707 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ეე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 50-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1.„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 აპრილის №707 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის თავმჯდომარის შოთა ლორთქიფანიძის შვებულებაში ყოფნის პერიოდით (2018 წლის 04 სექტემბრის ჩათვლით), ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) თეიმურაზ ხალვაში - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

ბ) თამაზ ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - კომისიის წევრი;

გ) ირაკლი თურმანიძე - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

დ) გიორგი ვარშანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის განყოფილების III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ე) ელზა თაბაქიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკისა და სტატისტიკის განყოფილებაში III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ) მერაბ კახიძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიწის მართვის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;

ზ) ზებურ უსტიაძე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვისა და პრივატიზების დეპარტამენტის, ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი - კომისიის წევრი.“.

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი  
ხელმძღვანელობა

